

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი

შეფასების დეპარტამენტს

ეკატერინე აბესაძის კ/ნ 60001034954

qobulashvili56@mail.ru

ტელ. 599 17 87 69

### სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ ეკატერინე აბესაძე კ/ნ 60001034954 მის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ს/კ 03.01.21.597 მდებარე ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N52ბ. გეგმავს ავტოგასამართი სადგურის მშენებლობას (GPS კოორდინატში X-302800; Y-4681200) ავტოგასამართი სადგური უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებული იქნება 260 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ეკატერინე აბესაძის მიერ დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ, განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

ავტოგასამართი სადგური განთავსდება ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. N52ბ-ში. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 03.01.21.597 და წარმოადგენს ეკატერინე აბესაძის საკუთრებას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს 1089 კვ.მ. მოსწორებულ, ხრეშით დაფარულ, საავტომობილო გზის (ხონი-სამტრედია) პირზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს სამრეწველო უბანს. მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით და დასავლეთით ესაზღვრება კერძო მესაკუთრეთა მიწის ნაკვეთებთან მისასვლელი გზები, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სამხრეთით საავტომობილო გზა, ავტომშენებლის ქუჩა. ნაკვეთის ცენტრალურ ნაწილში გათვალისწინებულია ავტოგასამართი სადგურის შენობის განთავსება, სადაც მოეწყობა საოპერატორო და დამხმარე სათავსოები, რომლის სამხრეთით მოეწყობა მარიგებელი სვეტები. აღმოსავლეთ ნაწილში გათვალისწინებულია მიწისქვეშა რეზერვუარების მოწყობა, რომლის წინ სათანადო დაცვების გათვალისწინებით მოეწყობა ავტოცისტერნების მოედანი, საიდანაც მოხდება რეზერვუარების შევსება. ტერიტორიის ნაწილი, რომელიც საჭიროა ავტოტრანსპორტის მოძრაობისთვის, დაიფარება ბეტონის საფარით, ნაწილი მოპირკეთდება ბეტონის ფილებით, ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექების, დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრება მოხდება მოედნის პერიმეტრზე განთავსებული ღია ღარების საშუალებით და ჩაედინება სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მოწყობილ გამწმენდ ნაგებობა, სალექარ-დამჭერში.



ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მიწის ქვეშ განთავსდება ორი ცალი რეზერვუარი. რეზერვუარების მოსაწყობად ქვაბულის ძირი დაიფარება დატკეპნილი ქვიშით, რომელზეც მოეწყობა 40 სმ-იანი სისქის რკინა-ბეტონის ფილა, რაზეც დამონტაჟდება ლითონის რეზერვუარები. მიწისქვეშა მილსადენების მოწყობის შემდეგ რეზერვუარები დაიფარება ბალასტით და საჭიროების შემთხვევაში ხრეშის ან ბეტონის ფენით. მიწისქვეშა რეზერვუარების განსათვსებლად ამოღებული იქნება ქვაბულები. საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგად, ამოღებული გამონამუშევრების საფუძველზე უბანზე გამოიყო ორი ძირითადი ფენა: I-ნაყარის ფენა; II- კენჭნარი, კენჭნარის ჩანართებით და 30%-მდე თიხნარის შემავსებელით; საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ, ამოღებული გრუნტის მასა გაიშალება ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევით დადგინდა, რომ ადგილი არ ექნება ნიადაგის ნაყოფიერი და პროდუქტიული ფენის მოხსნას, რადგან არ არსებობს ნიადაგის პროფილის ჰუმუსოვანი ნაწილი.

მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლენის შემთხვევაში, დამკვეთის მოთხოვნით, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყვიტოს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მიწისქვეშ განთავსდება ორი რეზერვუარი:

I- მოცულობით 16 მ<sup>3</sup> სიგრძით 5,20 მ; დიამეტრით 2,0 მ; სასუნთქი სარქველის სიმაღლეა 2 მ; დიამტრი 0,05 მ;

II-მოცულობით 14 მ<sup>3</sup> სიგრძით 4,25 მ; დიამეტრით 1,99 მ; სასუნთქი სარქველის სიმაღლეა 2 მ; დიამტრი 0,05 მ;

საწვავმარიგებელი სვეტები რეზერვუარებიდან 15 მეტრის მოშორებით იქნება დამონტაჟებული და დაკავშირებული იქნება თანამედროვე პლასტიკის მილებით.

მისი მშენებლობისა და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

ავტოგასამართი სადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

- ოფისი-საოპერატორო;
- სარეზერვუარო მოედანი;
- მარიგებელი სვეტები;
- ავტოცისტერნის დაცლის პლათფორმა;
- ატმოსფერული ნალექის და დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემკრები ღარი;
- ატმოსფერული ნალექის და დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემკრები ჭა;



- სალექარი;
- სანკვანძები;
- ფასის მაჩვენებელი ტაბლო;

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია სამი სახის ბენზინის და ორი სახის დიზელის საწვავის რეალიზაციისათვის. რეალიზებული ბენზინის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა იქნება 2 000 000 ლიტრი, რეალიზებული დიზელი იქნება 2 000 000 ლიტრი. ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგური იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 365 სამუშაო დღით წელიწადში.

საწვავის მიღება გეგმით უნდა მოხდეს ავტოცისტერნის საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარზე და მიეწოდება მიწის ქვეშ არსებულ რეზერვუარებს, საიდანაც საწვავი მიეწოდება საწვავის გასაცემ ორ სვეტს, საიდანაც ხდება ავტომანქანების ვამართვა საწვავით რვა დისპენსერის საშუალებით.

ტერიტორიაზე დამონტაჟდება მეხამრიდი, რომელიც დაფარავს საოპერატორო შენობას და საწვავის გასაცემ სვეტებს. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას უნდა მოხდეს ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საწვავის მიღების პროცესი. დამიწებული უნდა იყოს საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა და საწვავის რეზერვუარები.

ტერიტორიაზე არის გათვალისწინებული წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემის მოწყობა, რომელშიც, გათვალისწინებულია სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა. ასევე გათვალისწინებულია ავტომატური სახანძრო საგანგაშო სისტემის მოწყობა.

ავტოგასამართი სადგური აღჭურვილი იქნება სახანძრო სტენდით, ცეცხლმაქრებით, სახანძრო ინვენტარით და არსებული კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებებით. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების განსათავსებელი უბანი, სადაც დაიდგმევა ნაგვის ურნები, დასტიკეტებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის.

საწარმოს საქმიანობის სფეროში გათვალისწინებულია ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და შემდგომ მათ გაფრქვევას ატმოსფეროში. ავტოგასამართი სადგურიდან ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტის მიღებისას.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები შეიძლება დაბინძურდეს ნავთობპროდუქტებით და რომელიც მოხვდება წვიმის წყლის რეზერვუარში, საიდანაც გადავა გამწმენდ დანადგარში, რომელსაც გააჩნია ACO -ს სერთიფიკატი. გაწმენდის შემდეგ წყალში ნავთობპროდუქტების კონცენტრაცია არ აღემატება 0,3 მგ/ლიტრში და ამის შემდეგ ჩაშვებული იქნება საკანალიზაციო ჭაში.



საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონის გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარი.

მიწის ნაკვეთზე სადაც განთავსებულია ავტოგასამართი სადგური, არ არის მრვალწლიანი მცენარეები, არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები. ტერიტორიის შემოგარენში და არც მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ადგილები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ავტოგასამართ სადგურში დასაქმდებიან ადგილობრივი მაცხოვრებლები, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას მოსალოდნელია სამშენებლო მასალების ნარჩენების წარმოქმნა, ხოლო ოპერირებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში 0,5 მ<sup>3</sup>-ის ოდენობით), ამ სახის ნარჩენების გატანა მოხდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ.

სანიაღვრე წყლების გაწმენდისას ნავთობდამჭერში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტების ნარჩენების, ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა) მართვა განხორციელდება კანონმდებლობის სრული მოთხოვნების გათვალისწინებით კერძოდ, მათი დროებითი განთავსება-ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას, ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მისი დაღვრა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტების გარე პერიმეტრი მოწყობილია არხებით, რომელიც უერთდება მიწისქვეშა სპეციალურ ავზს. ამით აცილებული იქნება დაღვრილი საწვავის გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. დაღვრილი საწვავის ავზში დალექვის შემდეგ, ის ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციისათვის გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა.

საქმიანობის სპეციფიკიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ მოახდენს. ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის უშუალო სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ არის.

პატივისცემით,


ეკატერინე აბესაძე

ავტოგასამართი სადგურის მფლობელი

ავტოგასამართი სადგურის მფლობელი





არსებული  
სიტუაცია



ფოტომონტაჟი







- 1) გენეტიკისამართი სვებები
- 2) სალქატი
- 3) ავტოსტაციის მოედანი
- 4) საფვანის მიწისქვეშა რუხიკვანა
- 5) საინფორმაციო სარეკლამო სვები
- 6) საქვანები
- 7) განვანება
- 8) ტრეტარი
- 9) სალქარი
- 10) პერსონალის ოთახი
- 11) სამუშაო სათავსო
- 12) დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკვანი ღარი
- 13) დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკვანი ჭა
- 14) ფლავიტიზაციის სისტემის განთავსების ადგილი
- 15) სანავის მანახამი დანადგარების მოედანი

